ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი

მოქალაქის გზამკვლევი

შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის გზამკვლევი მოიცავს ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილია 15 ნოემბრამდე პერიოდში, რომელიც საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით ექვემდებარება გადახედვას და არაუგვიანეს 10 დეკემბრისა საკრებულოში წარდგენას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ქუთაისი - ქალაქი და მუნიციპალიტეტი საქართველოში, იმერეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია.
ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1811 წელს. აქ მდებარეობს მძიმე, მსუბუქი და კვების მრავალი საწარმო, კულტურული ობიექტი, თეატრები, გალერეები, ქუთაისი განათლების ერთ-ერთი ცენტრია საქართველოში.



ქალაქი ქუთაისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მიმზიდველ პირობებს ქმნის მრავალმხრივი განვითარებისათვის. ქუთაისი მდებარეობს მიწისძვრების, მეწყერებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების დაბალი რისკის ზონაში და გარშემოტყმულია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ტერიტორიებით. ქალაქი განსაკუთრებით მდიდარია კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობით,

ასევე ცნობილია თავისი გასტრონომიითა და სტუმართმოყვარეობით. ქუთაისის მიმზიდველობას ზრდის იმერეთის რეგიონში მდებარე ორმოცდაათზე მეტი ისტორიული და სამკურნალო-რეკრეაციული დანიშნულების ადგილებთან სიახლოვე. განსაკუთრებული როლი აქვს დავით აღმაშენებლის სახელობის



ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს, საიდანაც ფრენები ხორციელდება ევროპის ქვეყანებსა და ქალაქებში. ასევე შიდა ფრენა მესტიის მიმართულებით. ყოველწლიურად მზარდია ფრენის მიმართულებების რაოდენობა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 მუნიციპალურ ერთეულს

- ქალაქ ქუთაისს. ქალაქი დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ ერთეულად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით

2022 წლის 1 იანვრისათვის ქ. ქუთაისის მოსახლეობა შეადგენს 134.4 ათას კაცს. ქ. ქუთაისი მოსახლეობის სიდიდით თბილისისა და ბათუმის შემდეგ მესამე ქალაქია საქართველოში.

ქუთაისის დოკუმენტური ისტორია იწყება ძვ. წ. III საუკუნიდან, თუმცა ანტიკური ავტორები მას თვლიან ძველი კოლხეთის სამეფოს (ძვ. წ. VIII ს.) დედაქალაქად.

ქუთაისი რამდენიმე მნიშვნელოვანი საავტომობილო მაგისტრალის გადაკვეთაზე მდებარეობს. ქალაქში გადის საქართველოს მთავარი საავტომობილო მაგისტრალი ს1, ასევე საავტომობილო გზები ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი, ქუთაისი-ბაღდათი და ქუთაისი-ტყიბული. ქალაქში არის რკინიგზის სადგური, საიდანაც არის მუდმივი მიმოსვლა თბილისსა და ბათუმში. ქალაქში მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ქუთაისიდან რამდენიმე კილომეტრში, კოპიტნარში, მოქმედებს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. ქალაქში მდებარეობს 37 ბაგა–ბაღი, 39 საჯარო და 18 კერძო სკოლა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისის საერთასორისო უნივერსიტეტი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების

ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღირიცხვა-ანგარიშგება ხორცილედება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.
გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგეგებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე არ იქნება სრულყოფილი თვითმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც აღვნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.

- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.
ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პრიორიტეტების დოკუმენტი - არის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი გეგმა რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას როგორც

გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ ინფომაციას.

საბიუჯეტო პროცესი

საქართველოში საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ეტაპები დარეგულირებულია საბიუეტო კოდექსით, ხოლო შიდა საბიუჯეტო კალენდარს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი. ქუთაისის მუნიციპალიტეტში შიდა საბიუჯეტო კალენდარი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

2024 წელი

- **მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი**

1 მარტი

- მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ -სამართლებრივ აქტს (ბრძანება), რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები
- სამართლებრივი აქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი და იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავებაზე

15 მარტი

- სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს მოსახლეობის გამოკითხვის შინაარსობრივ ნაწილს, რომლის მიზანია შემდეგი ინფორმაციის მიღება: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში.

1 ივნისი

- სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, სიტუაციის ანალიზისა და/ან მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე (არჩევით).

1 ივნისი -1 აგვისტო

- სამუშაო ჯგუფი არჩეული პრიორიტეტის ფარგლებში (შესაძლებელია პრიორიტეტი არ დაკონკრეტდეს) აცხადებს მოქალაქეებიდან ახალი ინიციატივების მიღებას ახალ პროგრამებთან/ქვე-პროგრამებთან/ღონისძიებებთან დაკავშირებით, პროცესის მეთოდოლოგიისა (აქ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამოქალაქო ბიუჯეტირება) და ვადების მითითებით

5 აგვისტო

- საფინასო სამსახური სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს და წინადადადებას ზღვრული მოცულობების თაობაზე, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი.



ქვემოთ მოცემულ გრაფიკში წარმოდგენილია საბიუჯეტო ციკლის ეტაპები:



მუნიციპალური ორგანოების როლი საბიუჯეტო პროცესში გამიჯნულია კანონმდებლობით. ეს კანონებია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საბიუჯეტო კოდექსი.





საიდან მოდის ფული ბიუჯეტში?

კანონმდებლობა არეგულირებს იმ გადასახდელების ჩამონათვალს რომლითაც ივსება ბიუჯეტი. გადასახადებს ბიუჯეტში იხდიან მოქალაქეები და ბიზნესი. ეს გადახდილი თანხები საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ნაწილდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ირიცხება შემდეგი სახის შემოსავლები: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) 19%, ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, დასუფთავების მოსაკრებელი, იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსული თანხები, სხვა ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახდელები, ასევე ქონების გაყიდვიდან შემოსული სახსრები. ცენტრალური ხელისუფლება კაპიტალური პროექტებისთვის და დელეგირებული უფლებების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს უნაწილებს გარკვეულ თანხებს, რასაც ეწოდება გრანტები. ასეთი გრანტები მუნიციპალიტეტში ძირითადად წლის განმავლობაში ირიცხება და შესაბამისად მუნიციპალიტეტი აზუსტებს თავდაპირველ ბიუჯეტს. როდესაც ხარჯები შემოსავალზე მეტია, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს აიღოს სესხი. ამ კუთხით მუნიციპალიტეტს ძირითადად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეხმარება.

ზემოთ აღნიშნული თანხების ბიუჯეტში მობილიზებაზე პასუხისმგებელია როგორც ცენტრალური ხელისუფლება ასევე ადგილობრივი - მუნიციპალიტეტის ხელისუფლება. კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლება (შემოსავლების სამსახური) უწევს ადმინისტრირებას შემდეგი სახის შემოსავლებს: დამატებული ღირებულების გადასახადიდან (დღგ) 19%, ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი. ადგილობრივი ხელისუფლება - დასუფთავების მოსაკრებელს, იჯარით გაცემული ქონებიდან მისარებ თანხებს და სხვა ადგილობრივი მოსაკრებლებს და გადასახდელებს, ასევე ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მუნიციპალური ქონების პრივატიზებისას თანხების მობილიზებაზე.

ცენტრალურ ხელისუფლება პასუხისმგებელია ასევე მუნიციპალიტეტისთვის გრანტის სახით თანხების გამოყოფაზე. ასეთი თანხები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ძირითადად ხმარდება კაპიტალური პროექტების დაფინანსებას.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლის შემოსავლები

2022 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტში მთლიანობაში მობილიზებული იქნა 136 949.2 ათასი ლარი. შემოსავლებში (121 702.9 ათასი ლარი) თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:

2022 წლის ქუთაისის მუნიცპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურა (ათას ლარებში)		
	თანხა	პროცენტი
ქონების გადასახადი	11359.9	9%
დღგ	49278.4	40%
გრანტები	40086.6	33%
ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი	2188.6	2%
სხვა დანარჩენი შემოსავლები	9270.5	8%
არაფინანსური აქტივები	9518.9	8%



2024 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტში მთლიანობაში დაგეგმილია 115 510,7 ათასი ლარის მობილიზება. შემოსავლებში თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:

2024 წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურა (ათას ლარებში)		
	თანხა	პროცენტი
ქონების გადასახადი	12000	10.4%
დღგ	60310.8	52.2%
გრანტები	2241.2	1.9%
ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი	4200	3.6%

სხვა დანარჩენი შემოსავლები	21758.7	18.8%
არაფინანსური აქტივები	15000	13.0%



2022-2024 წლებში მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსავლების დინამიკა შემდეგია:



ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ გრანტებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან გამოსაყოფი ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და მიზნობრივი ტრანსფერები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს თანხები გამოიყოფა წლის განმავლობაში და ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2024 წლის მაჩვენებელი დაახლოებით გაუტოლდება გასული წლის მაჩვენებელს.

როგორ იხარჯება ფული?

მთავრობის მიერ შეგროვებული თანხა იხარჯება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჭიროებისამებრ. ეს თანხა პირობითად იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად. მიმდინარე ხარჯები მოიცავს საჯარო მოხელეების ხელფასებს, კომუნალურ გადასახადებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და მოვლა შენახვის ხარჯებს და სხვა. ხოლო კაპიტალური ხარჯები გზების, საბავშვო ბაღების და სხვა მუნიციპალური ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და შეკეთების ხარჯებს. ასევე ბიუჯეტში განსაზღვრულია ნაკისრი ვალდებულებების (სესხის) დაფარვის ხარჯები. ხარჯების მიმართულებებს, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს თანხების ხარჯვა ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო ხმათა უმრავლესობით. ბიუჯეტის აღსრულება კი ხდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის მიერ.

მუნიციპალიტეტის ხარჯი

2024 **115 510,7 ათასი ლარი**

აღნიშნული სახსრები ბიუჯეტის მიხედვით განაწილებულია შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

- ინფრასტრუქტურის განვითარება
- დასუფთავება და გარემოს დაცვა
- განათლება
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- მმართველობა

2024 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

პრიორიტეტების დასახელება	**თანხა**	**პროცენტი**
ინფრასტუქტურა	23098	20.0%
დასუფთავება და გარემოს დაცვა	11015	9.5%
განათლება	21398	18.5%
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	25749.5	22.3%
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	8857.6	7.7%
ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	1970	1.7%
მმართველობა	23422.6	20.3%



კაპიტალური ბიუჯეტი

როგორც აღვნიშნეთ ბიუჯეტის გადასახდელები იყოფა მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების ხარჯებად. კაპიტალური ხარჯები წარმოადგენს ისეთ ხარჯს რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საინვესტიციო ხასიათის პროგრამები, მაგალითად გზების, ხიდების, შენობების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, შეკეთება და სხვა.

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე ხარჯებისათვის გამოყოფილია 94 667.0 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალურ ხარჯებისათვის 16 914,0 ათასი ლარი. მათ შორის თანაფარდობა ასეთია:



<u>მაგრამ აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალურ დანახარჯებს წლის განმავლობაში დაემატება ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები.</u>

ინფრასტრუქტურის განვითარება

ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 20% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 23 098,0 ათას ლარს შეადგენს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტუტული პროექტებისათვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს. 2022-2024 წლებში ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



2024 წლის ბიუჯეტის პროექტით, ინფრასტუქტურის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	23 098.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3 394.5
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	1 054.5
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	1 500.0
02 01 03	სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა	700.0
02 01 04	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	0.0
02 01 04	ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების შეძენა-ექსპლოატაცია	140.0
02 03	გარე განათება	4 000.0
02 03 01	გარეგანათების ქსელის ექსპლოატაცია	4 000.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია	761.7

02 04 01	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია	150.0
02 04 02	ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა	611.7
02 04 03	ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა - რეკონსტრუქცია	0.0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	1 700.0
02 05 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა	350.0
02 05 02	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია	300.0
02 05 03	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა	50.0
02 05 04	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია	100.0
02 05 05	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია	100.0
02 05 06	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია	350.0
02 05 07	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა- გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება	420.0
02 05 08	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა	30.0
02 05 09	ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია	0.0
02 05 09	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით)	0.0
02 06	ქალაქის კეთილმოწყობა	6 809.7
02 06 01	ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	3 702.3

02 06 02	ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება	1 000.0
02 06 03	მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა	20.0
02 06 04	მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	787.4
02 06 05	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	300.0
02 06 06	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია- რეაბილიტაცია	1 000.0
02 07	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება	4 660.0
02 09	სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	520.8
02 10	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	851.3
02 11	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	400.0

დასუფთავება და გარემოს დაცვა

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 9,5% გამოყოფილია მუნიციპალიტეტის დასუფთავება და გარემოს დაცვისთვის, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 11 015,0 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**11 015.0**
03 01	ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	7 815.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა, განვითარება	3 200.0

განათლება

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 20% გამოყოფილია განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 21 398,0 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



04 00	**განათლება**	**21 398.0**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	20 263.0

04 02	საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება	660.0
04 03	განათლების ღონისძიებები	475.0

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 22,3% გამოყოფილია კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 25 749,5 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**25 749.5**
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**13 618.0**
05 01 01	**სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა**	**6 806.0**
05 01 02	**კალათბურთის განვითარება**	**1 500.0**

05 01 03	ხელბურთის განვითარება	302.0
05 01 04	ქალთა ფეხბურთის განვითარება	170.0
05 01 05	რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა	800.0
05 01 06	სპორტის სასახლის ფუნქციონირება	0.0
05 01 07	ტაეკვონდოს განვითარება	0.0
05 01 06	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1 995.0
05 01 07	სხვადასხვა სახეობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2 045.0

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 7,7% გამოყოფილია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 8 857,6 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**8 857.6**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2 319.2
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	6 488.4

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 1,7% გამოყოფილია ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1 970,0 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



მმართველობა და საერთო დანიშნულება

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 20,3% გამოყოფილია მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 23 422,6 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



მმართველობა და საერთო დანიშნულების პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**23 422.6**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	12 299.3
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	11 123.3

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის აპარატის დაფიანსებას.

რას ნიშნავს ჩემთვის 2024 წლის ბიუჯეტი?

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

3 394 500 ლარი

პროგრამა გულისხმობს გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი გზების მშენებლობას და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაციას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ქალაქის სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები და ბუნებრივი სასულეები, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციოა ნიაღვარმიმღები ობიექტები.

გარე განათება

4 000 000 ლარი

განხორციელდება გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება.

მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობას, ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ამჟამად, აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი და საყრდენი კედელი, რომელსაც ესაჭიროება რეაბილიტაცია.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების
განვითარება
1 700 000 ლარი

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით მუნიციპალიტეტი აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გაუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის.

ქალაქის კეთილმოწყობა

6 809 700 ლარი

საქალაქო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დაგეგმვა, მოწყობა, მოვლა-პატრონობა, მშენებლობა-რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქის სტრატეგიული განვითარებისათვის. პროგრამის მიზანია ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით; ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ისეთი სხვადასხვა სახის ლოკალური პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც წლების განმავლობაში მოუგვარებელია და ასახვა ვერ ჰპოვა ბიუჯეტში.

მუნიციპალური სატრანსპორტო
სისტემის ფუნქციონირების
ხელშეწყობა

4 660 000 ლარი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის, მ.შ. საბავშვო ეტლით მოსარგებლე პირების, შშმ პირების სწრაფ, უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

პროექტირების ეტაპზე ხდება საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხსა და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს.

სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა.

ქალაქის ეკოლოგიური და უსაფრთხო მდგომარეობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად აუცილებელია ქუჩების დასუფთავება, ნარჩენების გატანა, ქუჩების მორწყვა–მორეცხვა, დეზინფექცია და დერატიზაცია.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა, კერძოდ, ხორციელდება ნარგავების მოვლა, ნიადაგის მომზადება,

ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, ეკოლოგიური მდგომარეობისა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქალაქის მორთვა სეზონური ყვავილებით, სკვერების დაგვა-დასუფთავება და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ფუნქციონირებს 37 ბაგა-ბაღი, მათში დასაქმებულია 1812 ადმინისტრაციული პერსონალი. რაც შეეხება აღსაზრდელების რაოდენობას, საშუალოდ წლიურად მათი რაოდენობა შეადგენს 8480 (მ.შ. გოგოები 4970 ბიჭები 3510). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას, ქუთაისის განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისებასა და მოსწავლეთა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობას.

სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და

სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების წახალისება. სპორტული ფილიალების ფუნქციონირების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. გაერთიანება განაწილებულია 16 ფილიალად, რომელშიც წარმოდგენილია 47 სპორტის სახეობა. ყოველწლიურად შესამჩნევია სხვადასხვა სახეობებში სპორტსმენების შედეგები, რაც ქალაქისათვის, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე, მნიშვნელოვან წარმატებებს განაპირობებს.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ასევე, მოხდეს ი. ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლისა და კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა.



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, მათში ყველაზე გავრცელებული დაავადებების დროულად გამოსავლენად, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა.

პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების

ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.



ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის დაურეგისტრირებელი)(მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე) საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადება ელ. ვერსიით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზების მომზადება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხაზოვანი ნაგებობის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადება ელ. ვერსიით. ადგილზე GPS კოორდინატების გადამოწმება. აგრეთვე პროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან/და აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო დავალების მომზადება ქალაქის გენერალური გეგმის დამუშავების მიზნით. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა მოიცავს დასახლების მთელ ტერიტორიას, ან მის ნაწილებს. გეგმების შესრულება სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოდგენილია დასახლების სივრცით-ტერიტორიული განვითარების ზოგადი პრინციპები, რომლებიც საჭიროებისამებრ ზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმებში

პროგრამის მიზანია მდგრადი განვითარების ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით, ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის რეგიონისათვის უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება, რაც სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას და ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ტურისტული აქტივობებისა და მიმართულებების მხარდასაჭერად, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო, საჯარო

სექტორებსა და თვით ორგანიზაციის წევრებს შორის. ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას, წაახალისებს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობას. განახორციელებს აქტივობებს სტრატეგიის შემუშავებისა და ტურიზმის განვითარების კუთხით, ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად და საქართველოს ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების მიხედვით. დაამყარებს კავშირებს რეგიონული განვითარების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან. ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზებას. მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებში.

ამ სახელმძღვანელოში მოცემულია ბიუჯეტში აღწერილი ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ მოკლე მიმოხილვა. თუ გსურთ გაიგოთ უფრო მეტი და დაწვრილებით, მაშინ ეწვიეთ ვებ – გვერდს http://kutaisi.gov.ge/.